ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2675877

ნომერი: AR1413268

თარიღი : 14.06.2016

გაცემის თარიღი : 07.07.2016

გაცნობის თარიღი : 07.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 83 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29/06/2011 წლის №01/1595 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 14/06/2016 წლის №AR1413268 განაცხადით მომართა დავით ლოსაბერიძემ და ამავე სამსახურის 29/06/2011 წლის

№01/1595 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 29/06/2011 წლის №01/1595 ბრძანებით ქ. თბილისში, სახელმწიფო ექსპერტიზის შენობის მიმდებარედ (ნაკვეთი N004/005) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (I; II; III; IV; V და VI) ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა N6/1682–1). მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2011 წლის 01 ივლისიდან 2012 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებელის განმარტებით, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში სხვენის ფართობად დაფიქსირებული უნდა იყოს 945.49 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 62642.00 კვ.მ. შესაბამისად, იგი ითხოვს ბრძანებაში აღნიშნული მაჩვენებლების დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29/06/2011 წლის №01/1595 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:62642.00; სხვენის ფართობი (კვ.მ).:945.49; სამსახურის 29/06/2011 წლის №01/1595 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29/06/2011 წლის №01/1595 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.